თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი!

დროება

№7

პარასკევი, 10 ნოემბერი, 1989 წ.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

◆ ინტერვიუ

1989 წლის 31 ოქტომბერს რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში მოხდა უპრეცენდენტო შემთხვევა-ერთმანეთს მრგვალ მაგიდასთან შეხვდნენ რესპუბლიკის მარიონეტული ხელისუფლებისა და საქართველოს ეროვნული ხსნის კომიტეტის წარმომადგენლები. ამ და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე ქვემოთ მოცემულ ინტერვიუში გვესაუბრება ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი ირაკლი ბათიაშვილი.

ირაკლი ბათიაშვილი: ღმერთმა ჰქმნას, რომ ჩვენი ერთიანობა იყოს ურღვევი

კითხვა: ირაკლი, ეს-ესაა დამთავრდა მოლაპარაკება მხატვრის სახლში. რამ განაპირობა დღევანდელი შეხვედრა და როგორ წარიმართა იგი ?

პასუხი: შეხვედრის შესახებ წინადადება მოვიდა ეგრეთ წოდებული ხელისუფლების მხრიდან. როგორც ცნობილია, ჩვენ წამოვიწყეთ დიდი აქცია მთავრობის სასახლესთან, რომელსაც სამი ძირითადი მიმართულება აქვს: I) საქართველოში საერთაშორისო მისიების ჩამოყვანა. 2) საოკუპაციო ჯარებში ქართველი წვევამდელების გაწვევის ბოიკოტი. 3) აფხაზეთში დამნაშავე სეპარატისტთა და ტერორისტთა დასჯა. პირველი ორი საკითხი არავითარ მოთხოვნას, არც საქართველოს და არც საკავშირო მთავრობისადმი არ შეიცავს, რადგან მისიების ჩამოსვლა ეხება თავად საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებს. (გაერო, ევროსაბჭო, ევროპარლამენტი) ასევე საიმპერიო სამსახურში უარის თქმა, არის უბრალოდ ბოიკოტი და ეს ბიჭები არავითარ პასუხს დადებითს ან უარყოფითს არ ელიან ხელისუფლებისაგან, რადგან იგი არასოდეს არ განაცხადებს თანხმობას წერილობითი დოკუმენტის სახით-მათ არ იმსახურონ საოკუპაციო არმიის რიგებში-ეს ხომ აბსურდია. რაც შეეხება აფხაზეთის საკითხს, ჩვენ ეგრეთ წოდებულ მთავრობას, ამ საკითხთან დაკავშირებით წავუყენეთ კონკრეტული მოთხოვნები. აქციაზე წამოყენებული მოთხოვნები თავისთავში გულისხმობს მრავალ კონკრეტულ პრობლემას და ამ მოთხოვნების გრძელი სია წარდგენილ იქნა ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის მიერ, რომელიც მან შეიმუშავა და დაამტკიცა 30 ოქტომბერს, კერძოდ:

ე.წ. ხელისუფლებამ ხელი არ უნდა შეგვიშალოს და საშუალება მოგვცეს ჩავიდეთ დასავლეთის სხვადასხვა ქალაქებში, დავუკავშირდეთ საერთაშორისო ორგანიზაციებს მისიების ჩამოყვანის მოთხოვნით.

მოვითხოვთ სსრკ შინაგანი ჯარების გაყვანას აფხაზეთიდან და მათ მაგივრად ჩვენი რესპუბლიკის გაძლიერებული მილიციის ნაწილებისა და ქართული სახალხო რაზმეულების შეყვანას.

როკის გვირაბის გაუქმებას, რომელიც არის ერთ-ერთი საშუალება სამაჩაბლოში ეთნოკრიზისის შესაქმნელად.

ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკისათვის ცხინვალის ოლქის დარქმევას.

არმიაში წასვლელობის გამო დაკავებული ორი პოლიტპატიმრის განთავისუფლებას.

ზემოაღნიშნულ მოთხოვნათა სია წარდგენილი იქნა ცკ-ს პირველი მდივნის გივი გუმბარიძისადმი. ამასთან ერთად, აქციის დღის წესრიგში დგას ერთი ცენტრალური, ფუნდამენტური მოთხოვნა, რაზედაც უთუოდ დამოკიდებულია ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მნიშვნელოვანი წინსვლა და სახელდობრ, რეფერენდუმის ჩატარება შემდეგ საკითხზე: სურს თუ არა ქართველ ხალხს, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენის საკითხი განხილულ იქნას საერთაშორისო სამართლის დონეზე ?

კითხვა: კიდევ ვინ ესწრებოდნენ მთავრობის მხრიდან ამ შეკრებას ?

პასუხი: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჭითანავა, შინაგან საქმეთა მინისტრი გორგოძე და რესპუბლიკის პროკურორი რაზმაძე.

კითხვა: როგორ წარიმართა დიალოგი ?

პასუხი: დიალოგი, რომელიც მიმდინარეობდა თითქმის ხუთი საათის განმავლობაში, იყო ძალზედ მწვავე და პრინციპული, მაგრამ თავაზიანობისა და ტაქტის საზღვრებს არ გასცილებია.

კითხვა: რა მოთხოვნები წამოაყენა მთავრობამ ?

პასუხი: მათი მთავარი მოთხოვნა იყო, რომ აქცია შეწყვეტილიყო იმ ფორმით, როგორითაც იგი დღეს მიმდინარეობს, მაგრამ ჩვენ ამ თხოვნას არ დავთანხმდით, რადგან ჩვენ ვხელმძღვანელობთ საკუთარი საბრძოლო გეგმით, რომელიც ჩვენ კაპრიზზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ განპირობებულია ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის აუცილებლობით.

კითხვა: კმაყოფილი დარჩით დიალოგით ?

პასუხი: მე არც კმაყოფილი დავრჩენილვარ და არც უკმაყოფილო, ეს იყო საქმიანი პრინციპული დიალოგი მოწინააღმდეგე ძალებს შორის.

კითხვა: როგორ ფიქრობთ, მთავრობა მართლა დადგა ეროვნულ პოზიციაზე თუ იგი უბრალოდ მამულიშვილური მანტიით შეიმოსა ?

პასუხი: შეიძლება ისინი, როგორც პიროვნებები, არ არიან უარყოფითნი, მაგრამ როგორც პოლიტიკური მმართველობის ინსტიტუტის წარმომადგენლებს მათ არ შეუძლიათ ჰქონდეთ ეროვნული კონცეფცია (არა თუ არ უნდათ, არამედ არ შეუძლიათ) მათი „ ეროვნული სულისკვეთება " განპირობებულია ახალი სიტუაციით, რადგან დღეს აღარ ძალუძთ დაიკავონ აშკარა ანტიქართული პოზიცია საქართველოში ეროვნული ენერგიის აფეთქების გამო, ე.წ. ხელი-

სუფლება ცდილობს არ დაკარგოს საფუძველი არსებობისა და მოიპოვოს ავტორიტეტი ხალხში. მას სჭირდება ხალხს დაანახოს რომ ისიც ეროვნულ პოზიციაზე დგას.

კითხვა: ექნება თუ არა დამოუკიდებელ საქართველოში ადგილი კომპარტიას?

პასუხი: იმდენად, რამდენადაც საერთაშორისო სამართლით კომპარტია ნაციონალურ-სოციალისტური პარტიისაგან განსხვავებით აკრძალული არ არის, ჩვენ უფლება არა გვაქვს ტაბუ დავადოთ მას.

კითხვა: თბილისში ჩამოსული იყო გაეროს თავმჯდომარის მოადგილე ქალბატონი მარგარეტ ენგსტი, გქონდათ თუ არა მასთან შეხვედრა და გადაეცით თუ არა მას თქვენი მოთხოვნები ?

პასუხი: გავიგეთ თუ არა მისი ჩამოსვლა, ჩვენ მოვაწყეთ პიკეტი პიონერთა სასახლესთან, სადაც მისი მორიგი ვიზიტი იყო დაგეგმილი და ჩვენი ძალისხმევით მოვახერხეთ ის, რომ ზვიად გამსახურდიამ და ირაკლი წერეთელმა ქალბატონ მარგარეტ ენგსტს გადასცეს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისა და წმ.ილია მართლის საზოგადოების მიმართვა, რომელშიც მოკლედ არის მიმოხილული საქართველოს ისტორია ცარიზმისა და ბოლშევიზმის დროს, საქართველოს ანექსიის ფაქტები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორია და ჩვენი მოთხოვნა საერთაშორისო მისიების ჩამოსვლის შესახებ.

კითხვა: რამდენად რეალურია მისიების ჩამოსვლა ?

პასუხი: პოლიტიკაში რეალობა სულ სხვაა, ვიდრე მეცნიერებაში. პოლიტიკური რეალობა დამოკიდებულია ძალისხმევაზე. ის რაც ორი დღის წინ გვეჩვენებოდა განუხორციელებლად ყოველივე იქცევა რეალობად, როდესაც სახეზე ჩნდება მოქმედება და ბრძოლა.

კითხვა: თქვენის აზრით, რა კონკრეტული შედეგი შეიძლება მოგვცეს მისიების ჩამოსვლამ ?

პასუხი: მას ექნება ძალიან დიდი დადებითი შედეგი, რადგან სსრკ დღეს უფრთხილდება ურთიერთობებს დასავლეთთან. სხვა გამოსავალი არ არსებობს და აქედან გამომდინარე იგი არ შეიძლება იგნორირებას უწევდეს საერთაშორისო ორგანიზაციებს. თუ საერთაშორისო ორგანიზაციებმა სცნეს სა-

/ დასასრული მე-2 გვ/ ➡

/ დასასრული /

ქართველოს ანექსია და აღძრეს საკითხი საქართველოს სახელმწიფოებრიობის რესტავრაციის შესახებ, ეს ძალიან ძლიერი დარტყმა იქნება კრემლისათვის და დიდი წარმატება ჩვენთვის.

კითხვა: ახლა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მრავალ ფრონტზე იბრძვის: სამხედრო საპროტესტო აქცია, მისიების ჩამოყვანა, აფხაზეთისა და ოსეთის საკითხების მშვიდობიანად დარეგულირება, არჩევნების ბოიკოტირება, როგორ ფიქრობთ გვეყოფა ძალა ერთდროულად გავწვდეთ ყოველივე ზემოთთქმულს ?

პასუხი: ეს ფრონტი არ არის გაწელილი, იგი წარმოადგენს ერთმანეთთან მჭიდრო გადაბმული პრობლემების ერთგვარ ჯაჭვს. ჩვენ გვიხდება ბრძოლა არა გაწელილ ფრონტზე, არამედ რადაც შემკვრივებულ-შევიწროებული ბრძოლის ველზე. ამდენად, ჩვენი ოპტიმიზმი რეალურ საფუძველს ეყრდნობა.

კითხვა: თქვენ ოპტიმისტი ხართ ?

პასუხი: მე არც ოპტიმისტი ვარ და არც პესიმისტი, მე რეალისტებს განვეკუთვნები.

კითხვა: კომპარტიით დაწყებული და გეოლოგიური პარტიით დამთავრებული, დღეს საქართველოში 100-ზე მეტი პარტია და საზოგადოებაა შექმნილი. როგორ ფიქრობთ, რამდენად მისაღებია მათი ასეთი სიმრავლე და რომელი მათგანი წარმოადგენს დღეს რეალურ ძალას ?

პასუხი: მე ღრმად მწამს, რომ ეროვნული მოძრაობის პლურალიზაციის პროცესი არის სავსებით ნორმალური და მისაღები, რადგან ეს არის დიფერენციაციის ეტაპი, რაც იმის აღმნიშვნელია, რომ ეროვნული მოძრაობა ინსტიქტური ფაზიდან გადადის ჭეშმარიტ პოლიტიკურ ფაზაში, მაგრამ დიფერენციაცია კვლავ უნდა უბრუნდებოდეს ინტეგრაციას. ძალა მდგომარეობს არა ამორფულ, არამედ დიფერენცირებულ მთლიანობაში, როდესაც ათასნაირი განტოლებები კვლავ ერთიანდებიან ერთ მთლიან ნაკადში. დღეს რეალური ძალა გააჩნია იმ პოლიტიკურ ორგანიზაციებს, რომლებიც გაერთიანებული არიან ეროვნული ხსნის კომიტეტში.

კითხვა: როგორ ფიქრობთ, 29 ოქტომბრის კონსოლიდაცია მყარი და საბოლოოა ?

პასუხი: წინასწარ არაფრის პროგნოზირება არ შემიძლია, მაგრამ ჯერჯერობით შთაბეჭდილება ყველას ისეთი გვაქვს, რომ ეს არის საწინდარი ჭეშმარიტი ერთიანობისა და ღმერთმა ჰქმნას, რომ ჩვენი ერთიანობა იყოს ურღვევი.

კითხვა: ზოგს მიაჩნია, რომ ის ხალხი, რომლებიც არ არიან გაერთიანებულნი პოლიტიკურ ორგანიზაციებში, მაგრამ ყოველთვის თანგვიდგას მიტინგზე, დემონსტრაციებზე თუ გაფიცვებზე, წარმოადგენს ბრბოს. ეთანხმებით თუ არა ამ აზრს და საერთოდ როგორ თვლით, ქართველი ხალხი გასული წლის ნოემბრის შემდეგ ჩამოყალიბდა თუ არა პოლიტიკურად ?

პასუხი: მე არცერთ შემთხვევაში არ ვთვლი ჩემს ხალხს ბრბოდ, მითუმეტეს ამის არავითარი ზნეობრივი უფლება არა მაქვს. ეს ხალხი ბრბო ნამდვილად არ არის. იგი რეალობაა, რომელიც იმყოფება პოლიტიკური აღზრდისა და ჩამოყალიბების პროცესში.

კითხვა: 29 ოქტომბრის კონსოლიდირებაში ჩვენის აზრით უდიდესი და გადამწყვეტი როლი ითამაშა ქართველმა ხალხმა. გაერთიანება არ იყო ნაკარნახევი არცერთი პოლიტიკური ორგანიზაციის მიერ, ეს იყო ალბათ ის შემთხვევა, როდესაც ერმა გამოხატა და აღასრულა თავისი ნება. თქვენი აზრი ამ ფაქტის შესახებ ?

პასუხი: მე ვაღიარებ იმას, რომ კონსოლიდაციის იდეა მოდიოდა ხალხის მხრიდან. ეს არის ხალხის დამსახურება. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენი ხალხის შეგნება და ცნობიერება საკმაოდ მაღალ დონეზე დგას.

კითხვა: ქართულ ეროვნულ მოძრაობაში არ არის ჩაბმული საქართველოში მცხოვრები არაქართველი მოსახლეობა. თქვენის აზრით, რისი ბრალია ეს ?

პასუხი: ეს ჩვენი მტრული ძალების აგიტაციის შედეგია, რომელსაც ისინი აწარმოებენ სხვადასხვა ეთნოსების გადასამტერებლად და ამტკიცებენ მათში იმ აზრს, რომ საქართველოს განთავისუფლების შემდეგ, ისინი ჩავარდებიან უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში, რომ მათი საქმე დაღუპული იქნება და მათ აღარ ეცხოვრებათ საქართველოში. აგიტაციის საშუალებები სუკ-ს საკმაოდ გააჩნია და ამას იგი შესანიშნავად იყენებს. სამწუხაროდ, მან თავის მიზანს მიაღწია გარკვეულწილად. ჩვენ უნდა დავუმტკიცოთ ჩვენთან მცხოვრებ ყველა ეთნოსს, რომ თავისუფალ საქართველოში მათ გაცილებით უკეთ ეცხოვრებათ, ვიდრე იმპერიის ულელქვეშ

კითხვა: სსრკ-ში გამეფებული ღრმა ეკონომიკური კრიზისი (საგარეო ვალები, შიდა ბიუჯეტის დეფიციტი, ინფლაცია) გვაძლევს იმის გარანტიას, რომ არსებული არაკანონიერი სახელმწიფო მაღე დაინგრევა. როგორ ფიქრობთ, რამდენი ხანი გვაცილებს საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენამდე ?

პასუხი: თქვენ სავსებით სწორად იღაპარაკეთ ეკონომიკური კრიზისის შესახებ. იგი უკვე დაწყებულია და სახეზეა მისი არათუ ნიშნები, არამედ მძლავრი გამოვლინებები. მე პირადად მიმაჩნია, რომ ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ არა უბრალოდ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, არამედ იმპერიის დაშლისათვის. შეუძლებელია ოთხი მილიონი ქართველი ამხელა იმპერიას დაუპირისპირდეს, მაგრამ როცა მას უპირისპირდება ჩაგრულ ხალხთა მთელი სიმრავლე, იგი დიდი საფრთხის წინაშე დგება და სასწორი მის საპირისპიროდ იწყებს გადახრას. ჯერ კიდევ არ არის დამდგარი ახალი 1917 წელი, მაგრამ იგი მაღე დადგება და ამ დროისათვის ჩვენ უნდა ვიყოთ მორალურად და პოლიტიკურად მომზადებულნი. რაც შეეხება ვადებს, ჩემის ღრმა რწმენით, მომავალ ათასწლეულამდე ყველა ეს პროცესი თავის სასურველ ფინალამდე მივა.

კითხვა: თქვენ, იმპერიის ნგრევისას, გამორიცხავთ თუ არა დროებითი კონფედერაციული სახელმწიფო წყობის და მრავალპარტიული სისტემის გავლის სტადიებს ?

პასუხი: ეს გამორიცხულია. იმპერია არ გარდაისახება, იგი დაინგრევა. ეს იქნება დესტრუქციული პროცესების გრანდიოზული ერთობლიობა. პოლიტიკური და ეკონომიკური მოთხოვნებით ტოტალური გაფიცვების მოწყობა იქნება სამინელი პოლიტიკური გუგუნი, რომელსაც იმპერია ვერ გაუძღებს და მას ვერც არმია იხსნის, რადგან ნებისმიერი ინსტიტუტი, მათ შორის სამხედროც, დაკომპლექტებულია ჩვეულებრივი მოკვდავი ადამიანებით. ჯარი, თუკი ოფიცრობას გამოვრიცხავთ, ისევ და ისევ 18-19 წლის ბიჭებია. ბისი დესტრუქციის ნიშნები კი უკვე სახეზეა, ეს პროცესი დაწყებულია ბალტიისპირეთსა და ამერკავკასიაში და სულ მაღე ალბათ ეპიდემიასავით მოედება მთელ კავშირს.

კითხვა: ვინ იყო თქვენთვის მერაბ კოსტავა ?

პასუხი: ჩემთვის ძალზედ მძიმე და მტკივნეულია ამ თემაზე საუბარი. მერაბ კოსტავა იყო ადამიანი, რომელმაც მე მასწავლა (შესაძლებელია მე ეს ვერ ავითვისე და ვერც ვერასოდეს ავითვისო) თუ როგორი უნდა იყოს უკომპრომისო მებრძოლი: ზნეობრივად ამაღლებული, პოლიტიკურად გამჭრიახი. იგი ყოველ ჩვენგანს გვასწავლიდა არა სიტყვით, არამედ ყოველდღიური ცხოვრებით და საქციელით, თუ რას ნიშნავს ბრძოლა და რას ნიშნავს სიყვარული. ჩემთვის მასთან კონტაქტი არ იყო კონტაქტი მხოლოდ უფროს თანამებრძოლთან, ეს იყო კონტაქტი უნიკალურ, განუმეორებელი თვისებების მქონე ადამიანთან. იგი განაგრძობს ჩემთვის არსებობას (და არა მარტო ჩემთვის) მერაბ კოსტავას სულისკვეთებით და სიყვარულით დღესაც სულდგმულობს და კვლავაც ისულდგმულებს ქართული ეროვნული მოძრაობა.

კითხვა: რამდენადაც ჩვენ ვიცით 9 აპრილს თქვენ მძიმედ დაზიანდით.

პასუხი: დიახ, 9 აპრილს მე გონება დავკარგე და მივიღე ტვინის შერყევა.

კითხვა: რას უსურვებდით ქართველ ხალხს ?

პასუხი: გამარჯვებას.

დიდი მადლობა და გილოცავთ გაბედნიერებას.

ესაუბრნენ კოტე ჩოგოვაძე და ვაჟა ქუნთელია
/სედპ/ /სედპ/

◆ ◆ ◆

საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის წესდება

საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა გადავიდა განვითარების ისეთ სტადიაში, რომლის დროსაც აუცილებელი ხდება ერთობლივი ძალისხმევითა და საყოველთაო ეროვნული მობილიზაციით შეურიგებელი, ეკომპრომისო და მიზანდასახული ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. ამ თვალსაზრისით, მიზნის მისაღწევად განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება ერის პოლიტიკურ კონსოლიდაციას, რაც კონკრეტულ შემთხვევაში გულისხმობს საქართველოში დღეს არსებული წარმყვანი ეროვნულ-პოლიტიკური, დემოკრატიული პარტიებისა და ორგანიზაციების შეკავშირებას ერთ ალიანსში, პარტიულ საწყისებზე. მხოლოდ საერთო ძალისხმევით მიღწევა თავისუფალი საქართველო და დამოუკიდებელი საქართველოს, როგორც ისტორიული სუბიექტის, საერთაშორისო არსებობის რეალურ სტრუქტურაში თვითდამკვიდრების გარანტია ეროვნული ერთიანობაა. რამეთუ საქართველოს გაერთიანებით დაიწყო დიად ეროვნულ საქმეთა აღსრულება დავით აღმაშენებელმა და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის კონსოლიდაციისათვის თავდაუზოგავად იბრძოდა თავისი მოწამეობრივი ცხოვრების გზაზე საქართველოს ეროვნული გმირი მერაბ კოსტავა.

1989 წლის 29 ოქტომბერს, რუსთაველის გამზირზე, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ძეგლთან, საყოველთაო სახალხო მანიფესტაციის დროს მომხდარი ეროვნულ-პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების შეთანხმების საფუძველზე მოხდა საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის ერთიანობის რესტავრაცია, რაც ნიშანდობლივი საწყისია იმ გაერთიანებული თავგანწირული ბრძოლისა, რომელსაც გასწევს ქართველი ერი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. თავისუფლება არსებობის უზენაესი მდგომარეობაა, რომლის მოპოვება იწყება უაღრესად რაინდული და ზნეობრივი ცხოვრებით და ს[illegible]თველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტი განმათავისუფლებელი მოძრაობისა ა[illegible]ლ ფაზაში გადასული საქართველოს პოლიტიკურ სარბიელზე უზრუნველყოფს მორალურ-ეთიკური კრიტერიუმებითა და პრინციპებით განსაზღვრულ მოქმედებას.

ძირითადი ნაწილი

მუხლი პირველი- საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტი არის ეროვნულ-პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა პარიტეტულ პრინციპებზე აგებული თავისუფალი, ნებაყოფლობითი და დემოკრატიული ერთიანობა.

მუხლი მეორე- საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში ერთიანდებიან ის პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები, რომლებიც, როგორც შეიარაღებული აგრესიის უშუალო შედეგს, არ ცნობენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებისა და სახელმწიფო წყობილების არსებობის, საქართველოს რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის, ე.წ. სსრ კავშირის შემადგენლობაში ყოფნ[illegible] კანონიერებას და მიზნად ისახავს საქართველოს სრული სახ[illegible]მწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, საქართველოში დემოკრატიული მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემის დამკვიდრებას.

მუხლი მესამე-საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტი მოქმედებს თანასწორუფლებიანობისა და ერთიანობის პრინციპებით.

მუხლი მეოთხე-საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში მიიღებიან ის პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები, რომლებსაც აქვთ თავიანთი ჩამოყალიბებული სახე და წარმოადგენენ თავიანთი წესდებასა და პროგრამას.

მუხლი მეხუთე-ყოველი პოლიტიკური პარტია და ორგანიზაცია საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში წარმოდგენილია არაუმეტეს სამი წევრით.

მუხლი მეექვსე-საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში შემავალი პარტია და ორგანიზაცია ინარჩუნებს სრულ ორგანიზაციულ დამოუკიდებლობას და უფ-

დროება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღებულ მოსილია იმოქმედოს დამოუკიდებლად საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტისაგან, თუ არ მოხერხდა საერთო შეთანხმების მიღწევა ამა თუ იმ საკითხზე.

მუხლი მეშვიდე-საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში შემავალი პარტიებისა და ორგანიზაციების საერთო შეთანხმების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება სავალდებულოა ყველა წევრ პარტიისა თუ ორგანიზაციისათვის.

მუხლი მერვე-ზნეობრივი პრინციპების მკაცრი დაცვით ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში შემავალ ნებისმიერ პარტიასა და ორგანიზაციას შეუძლია გააკრიტიკოს საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში შემავალი სხვა პარტიებისა და ორგანიზაციების დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხისადმი.

მუხლი მეცხრე-საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტიდან გასვლა ნებისმიერი პოლიტიკური ორგანიზაციისათვის თავისუფალია.

მუხლი მეათე- ხმათა უმრავლესობით საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტიდან მასში შემავალი რომელიმე პოლიტიკური პარტიისა და ორგანიზაციის გაყვანა აკრძალულია.

საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტი

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია

1. ირაკლი წერეთელი
2. თეიმურაზ სუმბათაშვილი
3. თორნიკე ფიფია

წმინდა ილია მართლის საზოგადოება

4. ირაკლი ბათიაშვილი
5. ვაჟა ადამია
6. გურამ გოგბაიძე

საქართველოს ჰელსინკის კავშირი

7. ზვიად გამსახურდია
8. ავთანდილ რცხილაძე
9. თემურ ქორიძე

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია

10. გიორგი ჭანტურია
11. ირინა სარიშვილი
12. ირაკლი ქადაგიშვილი

ეროვნულ სამართლიანობის პარტია

13. ირაკლი შენგელაია
14. ირაკლი მელაშვილი
15. ზაზა ზამთარაძე

მონარქისტული პარტია

16. თემურ ჟორჟოლიანი
17. იასონ ფავლენიშვილი
18. გია ხონელიძე

საქართველოს დემოკრატიული პარტია

19. ვაჟა მთავრიშვილი
20. ვახტანგ ტაღახაძე
21. თენგიზ შარმანაშვილი

ქრისტიან-დემოკრატიული ასოციაცია

22. ირაკლი კაკაბაძე
23. შაღვა ვასაძე
24. ღათო გამყრელიძე

საქართველოს ეროვნული ღირსების კავშირი

25. თენგიზ დიხამინჯია
26. გიზო კორძაძე
27. ჯუმბერ ხუნდაძე

◆ ◆ ◆

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
პრეზიდიუმს

მოგეხსენებათ, რომ რუსთაველის გამზირზე, მთავრობის სასახლის წინ მიმდინარეობს პოლიტიკური აქცია, რომელსაც წარმართავს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტი და რომელშიც მონაწილეობას იღებს აფხაზეთის ქართული მოსახლეობის წარმომადგენლები და ქართველი წვევამდელები. ამ აქციაზე წამოყენებული პოლიტიკური მოთხოვნები ზუსტად შეესაბამებიან ქართველი ერის ინტერესებს ეროვნულ-გამანთავისუფლებელი ბრძოლის ამ მნიშვნელოვან ეტაპზე.

ჩვენ არაერთხელ დავრწმუნდით, რომ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი ცდილობს გაეთიშოს ეროვნულ მოძრაობას და თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა ქართველი ხალხის წინაშე. საქმის არსს ვერ ცვლის ცხრა აპრილის შემდეგ გამოჩენილი ერთგვარი აქტიურობაც, რადგან თამამად შეიძლება ითქვას, რომ ტრაგედიის ერთ-ერთი მიზეზი მავანთა და მავანთა კონფორმიზმი და განზე დგომის დანაშაულებრივი პოლიტიკაც იყო.

მიგვაჩნია, რომ მეცნიერებათა აკადემიამ ამჯერად მაინც უნდა გამოკვეთოს თავისი ეროვნული პოზიცია. ამ მიზნით სასწრაფოდ უნდა შეიკრიბოს აკადემიის პრეზიდიუმი და მიიღოს რეზოლუცია მთავრობის სასახლის წინ მიმდინარე აქციის მოთხოვნათა მხარდასაჭერად. რეზოლუცია უნდა გამოქვეყნდეს რესპუბლიკურ პრესაში.

თუ აკადემიის პრეზიდიუმი არ მიიღებს ამგვარ გადაწყვეტილებას, ჩვენ საბოლოოდ დავრწმუნდებით, რომ მისი საქმიანობა მიმართულია ერის ინტერესების საზიანოდ და 3 ნოემბერს, 12 საათიდან დავიწყებთ მჯდომარე საპროტესტო გაფიცვას აკადემიის პრეზიდიუმის შენობის წინ.

მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების
თანამშრომელთა ჯგუფი

საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციების ერთობლივი კომუნიკე

ჩვენ, საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციები: საქართველოს ჰელსინკის კავშირი, წმინდა ილია მართლის საზოგადოება, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს ეროვნული-დამოუკიდებლობის პარტია, საქართველოს დემოკრატიული პარტია, საქართველოს, მონარქისტული პარტია, საქართველოს ეროვნული სამართლიანობის პარტია, ქრისტიან-დემოკრატთა ახალგაზრდული ასოციაცია ვაცხადებთ, რომ ამიერიდან ვიწყებთ ერთიან ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, ეროვნული ხსნისა და აღორძინებისათვის.

მერაბ კოსტავას ნათელი სული მოგვიწოდებს გაერთიანებისაკენ, რამეთუ მისი ოცნება იყო საქართველოს ყველა ეროვნულ ძალთა კონსოლიდაცია და ერთობლივი ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. აღსრულდა მისი ოცნება, დე იყოს ნება მისი.

ჩვენს შორის მიღწეულია პოზიციათა შეთანხმება საჭირბოროტო ეროვნული პრობლემების გადაწყვეტის გზებთან დაკავშირებით, რამეთუ ჩვენს პროგრამებსა და პოლიტიკურ შეხედულებებს შორის ნიუანსური განსხვავებანი არ გვაძლევს დაქსასული, სეპარატისტული მოქმედების საფუძველს, მით უმეტეს, რომ ჩვენი მიზანი ერთიანი — საქართველოს დამოუკიდებლობა. ამიერიდან ჩვენ ურთიერთთან შევათანხმებთ ტაქტიკურ და სტრატეგიულ საკითხებს, აქციებს დავგეგმავთ და განვახორციელებთ ერთობლივად და ვიმოქმედებთ საერთო გადაწყვეტილებების საფუძველზე. სადავო და საკონფლიქტო საკითხებს გადავწყვეტთ მოლაპარაკების გზით.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტის, საქართველოს დემოკრატიული პარტია და ეროვნული სამართლიანობის პარტია ბრუნდებიან ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში, ხოლო მონარქისტული პარტია და ქრისტიან-დემოკრატთა ახალგაზრდული ასოციაცია — შემოდიან ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

1989 წლის 29 ოქტომბერი

ზვიად გამსახურდია
გიორგი ჭანტურია
ირაკლი ქადაგიშვილი
ირინა სარიშვილი
ირაკლი წერეთელი
თემურ სუმბათაშვილი
ირაკლი ბათიაშვილი
ვაჟა ადამია
ნინო რატიშვილი
იასონ ფავლენიშვილი
თემურ ჟორჟოლიანი
გია ხონელიძე
ირაკლი შენგელაია
ვაჟა მთავრიშვილი
ვახტანგ ტაღახაძე
თენგიზ შარმანაშვილი
ავთანდილ იმნაძე
ციცო ჟორჟოლიანი
ირაკლი კაკაბაძე
გიზო კორძაძე

◆ ◆ ◆

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის
პირველ მდივანს

გივი გუმბარიძეს

ასლი: საქართველოს სახალხო ფრონტს
რუსთაველის საზოგადოებას
წვევამდელთა აქციის საორგანიზაციო ჯგუფს

1989 წ. 25 ოქტომბერს შესდგა საპროექტო ინსტიტუტის „საქსოფლმშენსახპროექტის“ რუსთაველის საზოგადოებისა და სახალხო ფრონტის პირველადი ორგანიზაციების გაერთიანებული კრება.

კრებამ განიხილა ის საგანგაშო მდგომარეობა, რომელიც შექმნილია ქართველ ჯარისკაცთა მიმართ საბჭოთა არმიის რიგებში.

აღინიშნა ქართველი ახალგაზრდების მკვლელობისა და წამების მრავალი ფაქტი, განსაკუთრებით 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ.

კრებამ მიიღო რეზოლუცია:

ვინაიდან საქართველო არის ანექსირებული ქვეყანა, საბჭოთა არმიის რიგებში სამსახური განხილულ უნდა იქნას საოკუპაციო ჯარებში სამსახურად, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ნორმებს. აქედან გამომდინარე და საბჭოთა ჯარში გაჩაღებული ანტიქართული კამპანიის გამო, ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოში მიმდინარე წვევამდელთა აქციას, რომლის მონაწილე ახალგაზრდებიც უარს აცხადებენ საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურზე.

მოვითხოვოთ, რომ ამ ახალგაზრდების მიმართ არ იქნას გამოყენებული რაიმე სახის რეპრესიები, როგორც აქციის მიმდინარეობისას, ასევე მის შემდგომაც.

წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით შევუერთდეთ იმ საპროტესტო აქციებს, რომლებსაც აირჩევს ქართველი ერი.

საპროექტო ინსტიტუტის
„საქსოფლმშენსახპროექტის“
რუსთაველის საზოგადოება და
სახალხო ფრონტი.

◆ ინტერვიუ

ამა წლის 11 ოქტომბერს თბილისში დაიწყო წვევამდელების საოკუპაციო ჯარებში გაწვევის წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო აქცია. ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში ვთავაზობთ ინტერვიუს მის ერთ-ერთ ორგანიზატორთან, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრთან კობა ლურსმანაშვილთან.

კობა ლურსმანაშვილი: ჩვენს პოზიციებს არ დავთმობთ!

კითხვა: კობა, აი უკვე ოცი დღე გავიდა აქციის დაწყებიდან, გაიზარდა თუ არა მასში მონაწილე წვევამდელების რაოდენობა?

პასუხი: უნდა აღვნიშნო, რომ აქცია ზრდადია, მასში მონაწილეთა რაოდენობა დღითი დღე მატულობს და თბილისში მან უკვე ორას კაცს გადააჭარბა.

კითხვა: საქართველოს სხვა ქალაქები და რაიონები თუ მოიცვა სამხედრო აქციამ და რა მასშტაბით?

პასუხი: რესპუბლიკის ოც ქალაქსა და რაიონში გამოცხადებულია ბოიკოტი საიმპერიო ჯარებში გაწვევასთან დაკავშირებით და გაფიცულ წვევამდელთა რაოდენობა 300 აღემატება.

კითხვა: ხომ არ აჯობებდა მთელ რესპუბლიკაში გაფიცული წვევამდელებისათვის თბილისში მოგვეყარა თავი?

პასუხი: ეს მე არ ნიშანჩნია მიზანშეწონილად, რადგან საჭიროა ამ აქციამ მოიცვას საქართველოს ყველა რეგიონი. ის წვევამდელები, რომლებიც გაწვეული უნდა იყვნენ საოკუპაციო არმიაში რაიონული და საქალაქო კომისარიატებიდან აუცილებელია გაიფიცონ საკუთარ საცხოვრებელ ადგილზე, ეს გამოიწვევს აქციის გაზრდა→გამწვავებას. ერთი სიტყვით, ამ გრანდიოზულ აქციაში ჩაბმულია თითქმის მთელი საქართველო და ჩვენი მიზანიც ის იყო, რომ მას ჰქონოდა რაც შეიძლება ფართო და გლობალური ხასიათი.

კითხვა: წვევამდელების რამდენი პროცენტი ითხოვს რესპუბლიკაში დარჩენას და რამდენი საერთოდ უარს აცხადებს საიმპერიო სამხედრო ბეგარის მოხდაზე?

პასუხი: თბილისელი წვევამდელების 100% და საქართველოს სხვა რაიონებისა და ქალაქების აბსოლუტური უმეტესობა საერთოდ უარს ვაცხადებთ ჯარში წასვლაზე.

კითხვა: 1968 წლამდე საქართველოს კონსტიტუციაში არსებობდა მუხლი ქართული ეროვნული ფორმირებების შესახებ. /ლიტვის უმაღლესმა საბჭომ წელს უკვე შეიტანა მსგავსი მუხლი თავის კონსტიტუციაში/ მოსთხოვეთ თუ არა ადგილობრივ მარიონეტულ ხელისუფლებას ამ მუხლის აღდგენა?

პასუხი: იყო პერიოდი, როცა ჩვენ ამ მოთხოვნას ვაყენებდით, მაგრამ მას შემდეგ რაც რესპუბლიკაში მოხდა მთელი რიგი დადებითი პოლიტიკური ძვრები, ჩვენ ეს მოთხოვნა მოვხსენით, რადგან ჩვენ არ გვინდა ისეთი საჯარისო ფორმირება, რომელიც დაექვემდებარება ისევ და ისევ კრემლს. საქართველოს ეროვნული არმია უნდა ჰყავდეს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ მივაღწევთ სრულ დამოუკიდებლობას.

კითხვა: რა პოზიცია უჭირავს არსებულ ხელისუფლებას აქციისადმი?

პასუხი: ბოიკოტი საიმპერიო, დამპყრობლურ არმიაში სამსახურისადმი არ აწყობს ადგილობრივ ე.წ. ხელისუფლებას, რადგან იგი წარმოადგენს კრემლის მარიონეტს. ამიტომ იგი ცდილობს გაატაროს ის პოლიტიკა, რომელსაც მას კარნახობს მოსკოვი. თავისთავად ეს აქცია წარმოადგენს დიდ საშიშროებას მეტროპოლიისათვის, რადგან იგი მთლიანად ეყრდნობა სამხედრო ძალაუფლებას, ხოლო თუ ეს ძალა მას გამოეცალა, იგი ჰკარგავს ყოველგვარ რეალურ ძალმოსილებას. მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენმა აქციამ უკვე მოიცვა მთელი ბალტია და ამიერკავკასია. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ყოველნაირად ცდილობს არ დაუშვას სიტუაციის გამწვავება, ცდილობს გაშალოს ამ აქციის საწინააღმდეგო აგიტაცია-პროპაგანდა მოსახლეობაში და შეძლოს წვევამდელების ჯარში წაყვანა, მაგრამ ყველა წვევამდელი, რომელიც გაფიცულია თავის პოზიციას არ დათმობს, ჩვენი გადაწყვეტილება საბოლოო, მტკიცე და ურყევია. ჩვენ მთელ ძალასა და ენერგიას მოვახმართ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას და სანამ პირში სული გვიდგას ჩვენს პოზიციებს არ დავთმობთ.

31/XI-89წ.

ესაუბრნენ კოტე ჩოგოვაძე და ვატა ქუნთელია

◆ ◆ ◆

სედპ-ს პირველი კონგრესის რეზოლუცია

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის პირველი კონგრესი აცხადებს: სახელმწიფო, რომელიც შენიღბულად ატარებს სსრ კავშირის სახელს, წარმოადგენს რუსეთის მოდერნიზებულ იმპერიას, კრემლის ტრადიციულ დიდმპყრობლურ პრინციპებზე აგებულს, რომელმაც სუვერენულ სახელმწიფოთა ანექსიით მეფის რუსეთის იმპერიის დანგრევის შედეგად განთავისუფლებულ ერებში შეიარაღებულ აგრესიაზე დაყრდნობით განახორციელა გასაბჭოების დანაშაულებრივი პოლიტიკა და დღეს არსებული საბჭოთა სახელმწიფოს სახით შეიქმნა დაპყრობილ ერთა იძულებითი გაერთიანება. გარეშე შეიარაღებულ ძალებზე დაყრდნობით განხორციელებული გასაბჭოება იყო დანაშაული და აგრესია, რომელიც საბჭოთა ბოლშევიკურმა რუსეთმა განახორციელა ამიერკავკასიის, მოლდავეთის და ბალტიისპირეთის ხალხების მიმართ. არავითარი კანონიერი საფუძველი ამ ქვეყნებში არც საბჭოთა ხელისუფლების და არც მოდერნიზებული რუსეთის იმპერიის ე.წ. სსრ კავშირის საოკუპაციო ჯარების ყოფნას არ გააჩნია, რადგან არსებული მდგომარეობა, რომელიც უშუალოდ შედეგია ერთი ქვეყნის მიერ სხვა ქვეყნების მიმართ ჩადენილი აგრესიისა, საჭიროებს ძირფესვიან შეცვლას და თვისობრივი თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის პრინციპულად განსხვავებულ სტადიაში გადასვლას. დაპყრობილი ერის ნება და მისწრაფება თავისუფლებაა, რომელიც უპირველეს ყოვლისა წარმოდგენილი უნდა იყოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაში, რამეთუ თვითგამორკვევის უზენაესი პრინციპის რეალიზაციით სუვერენულ სახელმწიფოებად ჩამოყალიბებული თავისუფალი ერები ქმნიან უფლებრივ თანასწორობას და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებულ მსოფლიო მთლიანობას, რომელიც კაცობრიობის პროგრესული და დემოკრატიული განვითარების ნათელყოფაა, მეოცე საუკუნე - ერთა თვითგამორკვევისა და თვითდაფუძნების დიდი საუკუნე თავისუფლების, როგორც მსოფლიო პოლიტიკის რეალურ სტრუქტურაში არსებული სინამდვილის ტოტალურ ხორცშესხმას წარმოადგენს და თავისი ბუნებრივი განვითარებით უპირისპირდება იმპერიულ პრინციპებსა და სტრუქტურებზე დაფუძნებულ სახელმწიფოებრიობას. არავითარი ლოგიკური საერთო თანამედროვე დემოკრატიულ ცივილიზაციასთან არ შეიძლება გააჩნდეს სსრ კავშირად სახელწოდებულ იმპერიას, რადგან სახელმწიფოებმა, რომელთა დოქტრინა გამორიცხავს ერთა თავისუფალ განვითარებას, დიდი ხანია ამოწურეს თავიანთი დანიშნულება. ამიტომ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის პირველი კონგრესი ეჭვმიუტანლად წინასწარმეტყველებს რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის დაშლას მის მიერ დაპყრობილი ერების თავისუფალი განვითარების სასარგებლოდ და ბალტიისპირეთის, მოლდავეთის, უკრაინისა და სომხეთის ეროვნულ-პოლიტიკურ, დემოკრატიულ ძალებს მოუწოდებს შეიქმნას რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის მიერ დაპყრობილი ერების განთავისუფლებისა და დეკოლონიზაციის ერთიანი კომიტეტი.

მსოფლიო ყველა ერის სუვერენულ სახელმწიფოებად ჩამოყალიბებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობის დემოკრატიული განვითარებისათვის, რის გარეშეც ვერ მოხერხდება თავისუფლების, როგორც არსებობის უმაღლესი მიზნის რეალიზაცია მსოფლიო სინამდვილეში. ამ თვალსაზრისით უდიდესი მისია ეკისრება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელმაც უდიდესი სიძნელეებისა და წინააღმდეგობების გადალახვის ფასადაუცილებელი გამარჯვება უნდა მოიპოვოს ძალმომრეობაზე აგებულ უდიდესი შეიარაღებული პოტენციალის მქონე იმპერიაზე. დღეს როდესაც იმპერიის სხვადასხვა რეგიონებში დღითიდღე აღმავლობას განიცდის [illegible]ული მოძრაობა რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის მიერ დაპყრობილი ერებ[illegible]ათავისუფლებისა და დეკოლონიზაციის ერთიანი კომიტეტის შექმნა იქნება გან[illegible] თავისუფლებელი მოძრაობის თვისობრივად ახალ ეტაპზე გადასვლა.

რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის მიერ დაპყრობილი ერების განთავისუფლებისა და დეკოლონიზაციის ერთიანი კომიტეტი პარიტეტულ პრინციპებზე გააერთიანებს საქართველოს, სომხეთის, უკრაინის, ლიტვის, ესტონეთისა და მოლდავეთის იმ ეროვნულ-პოლიტიკურ ორგანიზაციებს, რომლებიც მიზნად ისახავენ დასახლებული ქვეყნების სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას.

◆ ◆ ◆

გაზეთ „დროების" რედაქცია თანამოაზრეებს გიწვევთ სათანამშრომლოდ. თქვენ შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ტელეფონებით:

37-51-36 კ. ჩოგოვაძე /სედპ/

99-37-52 ვ. ქუნთელია /სედპ/

გაზეთი მოამზადეს კოტე ჩოგოვაძემ და ვატა ქუნთელიამ